ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

19 სექტემბერი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 178 (10347) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ცელეცაივი - მკითხველი

ვოსკრესენსკი. საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფმა ნხლ-ს ლიგის ჰოკეისტთა კლუბმა „მინესოტა ნორდ სტარზმა" პირველი გამარჯვება მოიპოვა აქ, ადგილობრივ „ხიმიკთან" — 3:2 (1:0, 1:1, 1:1).

მოსკოვი. გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც აწყობს სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. ჯერჯერობით დაწინაურებულთა შორის არიან დიდოსტატები მ. ლიტინსკაია (4-დან 4 ქულა) და ა. გალიამოვა (3 ქულა).

პადუა. ჰოკით ხტომაში მსოფლიოს აბსოლუტურმა რეკორდსმენმა სერგეი ბუბკამ იტალიის ამ ქალაქში მორიგი გამარჯვება მოიპოვა — დაძლია 581 სმ.

სოფია. მალე სასამართლოს წინაშე წარსდგება ბულგარეთის სპორტული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე სტოილ სოტიროვი. მას ბრალად ედება თანამდებობის ბოროტად გამოყენება და სხვადასხვა მაქინაციაში მონაწილეობა.

ბონი. დასავლეთგერმანიის ორგანიზაცია „დოიჩე შპორტჰილფე" დამატებით 19 მილიონ მარკას გამოჰყოფს გდრ-ის სპორტსმენთა დასახმარებლად.

ნიუ-იორკი. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ტრიატლონში მოიპოვეს: ვაჟთა შორის ავსტრალიელმა გრეგ უელჩმა, ქალებში კი ამერიკელმა კარენ სმაიერსმა.

სოფია. ბულგარეთის დედაქალაქში მიმდინარე ცხენოსანთა შეჯიბრების პროგრამაში შეტანილი იყო ერთი ორიგინალური ნაწილი: დოღი მხედრების მიერ შერჩეული მარშრუტით. გამარჯვება მოიპოვა პოლონელმა იაროსლავ პლატონმა.

22 სექტემბერს ატლანტიკ-სიტიში უნდა გამართულიყო მსოფლიოს ექსჩემპიონ მაიკ ტაისონის შეხვედრა ალექს სტიუარტთან, მაგრამ მატჩი გაურკვეველი დროით გადაიდო.

საქმე ისაა, რომ თავის მუდმივ სპარინგ-პარტნიორ გრეგ პეიჯთან ვარჯიშის დროს (ეს ის პეიჯია, რომელმაც წლის დასაწყისში ვარჯიშისას ნოკაუტში გაისტუმრა ტაისონი), ექსჩემპიონმა მძიმე ტრავმა მიიღო. ტაისონს ექიმებმა 48 ნაკერი დაადეს და ახლა, სულ ცოტა, ერთ თვეს მაინც უნდა იმკურნალოს.

პეიჯმა დიდი სინანული გამოთქვა ტაისონის უკვე მეორედ დაშავებისათვის.

ფოთი — წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი

ბევრი გვევალება

დღითი დღე ფართოვდება გასახილველ საკითხთა წრე წყალმოთხილამურეთა ევროპის 1991 წლის ჩემპიონატისათვის მზადების საქალაქო შტაბის სხდომებზე. ახლახან გაიმართა მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა შტაბის ხელმძღვანელი, ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. კუხალეიშვილი. სხდომას ესწრებოდნენ წყალსათხილამურო სპორტის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვ. აფანასიევი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპორტისა და ტურიზმის განყოფილების გამგე დ. პერტენავა, წყალსათხილამურო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე შ. პაპიძე.

ტრესტ „კოლხეთმშენის" ხელმძღვანელობას დაევალა მალთაყვის ტყე-პარკში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრო კანალიზაციის სამშენებლო სამუშაოების შესრულება. გამოიყო ადგილი შემნახველი ბანკისა და სასტუმროს ასაშენებლად, შეირჩა ტერიტორია ავტოკემპინგის მოსაწყობად. ითქვა, რომ მიმდინარეობს სასტუმრო „ფაზისის" რეკონსტრუქცია, გრძელდება „საქგეოლოგიის" პიონერითა ბანაკის „მალთაყვის" სასტუმროდ გადაკეთების სამუშაოები. მშენებელ ორგანიზაციასთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სასტუმრო „აიეტის" კეთილმოწყობას. მზადდება ტურბაზის კაპიტალური შენობები 350 უცხოელი ტურისტისათვის, დაიწყო ჩაის კომბინატის დასასვენებელი სახლის, სასტუმროს, სასადილოსა და კოტეჯების მშენებლობა. ფოთში ჩამოიტანეს ტელეანძა და ანტენა, დიდმა წარმოება-დაწესებულებებმა დროულად უნდა გადაიხადონ ანძისა და ანტენის დასამონტაჟებლად საჭირო თანხის თავისი წილი.

სხდომაზე გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება დიდი პატივია ფოთისა და მთლიანად საქართველოსათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ უმძაფრეს კონკურსში ფოთმა აჯობა მოსკოვსა და კიევს, დაეკისრა ამ ფრიად პრესტიჟული შეჯიბრების მასპინძლობა. ეს პატარა ქალაქი მოექცა რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის, ევროპის ქვეყნების ყურადღების ცენტრში. ეს კი ბევრს ავალებს ყველას, ვინც ჩართულია ევროპის ჩემპიონატისათვის მზადებაში.

ტრისტან მანია

გაზეთის დაბეჭდვის წინ

ატლანტა — „ოლიმპიადა — 96"-ის მასპინძელი

ტოკიოში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე გადაწყდა, რომ 1996 წლის საიუბილეო ზაფხულის ოლიმპიური თამაშები გაიმართება აშშ-ის ქალაქ ატლანტაში.

ოლიმპიადის ჩატარების უფლების მოსაპოვებელ უმძაფრეს კონკურსში ატლანტამ აჯობა მელბურნს, ბელგრადს, მანჩესტერს, ტორონტოსა და ათენს.

ოლიმპიური ჩემპიონები უჭერდნენ მხარს

როგორც ცნობილია, საბერძნეთის დედაქალაქი ათენი იბრძოდა 1996 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლებისათვის. ბერძნებს დიდი ზეიმით უნდათ აღენიშნონ ოლიმპიადების აღორძინების 100 წლის იუბილე, რომელთანაც მათ ახლო კავშირი აქვთ. რამდენიმე დღის წინ ათენის კანდიდატურის მხარდაჭერის მიზნით საბერძნეთის დედაქალაქში შეიკრიბა ოცდაათზე მეტი ოლიმპიური ჩემპიონი, მათ განიხილეს, მოიწონეს და ხელი მოაწერეს ერთობლივ მიმართვას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა სახელზე.

ათენის კანდიდატურის მხარდამჭერთა შორის იყვნენ: ბობ ბიმონი (აშშ), მიკლოშ ნემეტი (უნგრეთი), იაცეკ ვშოლა (პოლონეთი), ვალერი ბრუმელი, ფაინა მელნიკი, იგორ ნეტო, ლეონიდ ჟაბოტინსკი, ლარისა ლატინინა (ყველა — სსრ კავშირი) და სხვები.

სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ:

მხატვრულ ტანვარჯიშში — ვიქტორია ვახტანგაძეს, ლანა სიდაწოვას (ორივე — თბილისი, „შევარდენი").

საციგაო სპორტში — ზვიად გაგლოევს (ბაკურიანი).

ნატურალურ ტრასებზე ციგაობაში — ბადრი ჯანგობეგოვს (ბაკურიანი, „მართვე").

მატიანე



ამ სპორტსმენს ალბათ მხოლოდ მძლეოსნობის ძველი გულშემატკივრები და თვითონ მძლეოსნები იცნობენ. კარლო გორძამაშვილი 60-იან წლებში საქართველოს ჩემპიონი და რეკორდსმენი გახლდათ და მას რაიმე განსაკუთრებული მიღწევა არ ჰქონია. ამის გამო იგი სპორტის მოყვარულთა ფართო წრეებისათვის უცნობი დარჩა, ისევე, როგორც მისი დიდი ნიჭი და მონაცემები...

ერთხელ, საწვრთნელი შეჯიბრების დროს, კარლო გორძამაშვილის მიერ ნატყორცნი შუბი 80 მეტრს გადასცდა და ზედ მსოფლიო რეკორდის აღმნიშვნელ მიჯნასთან დაეცა. საკავშირო ნაკრების მწვრთნელები შემდეგ გაოცებულნი ათვალიერებდნენ ქართველ ჭაბუკს და მის სახარბიელო პერსპექტივას ჭვრეტდნენ. „მე მხოლოდ კარლო თუ მომიგებს", — ამბობდა იმხანად მსოფლიოში უძლიერესი შუბის მტყორცნელი, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი იანის ლუსისი (რიგა).

კარლო გორძამაშვილი დიდხანს ჰყავდათ საბჭოთა კავშირის ნაკრებში, მაგრამ, როგორც ჩანს, სპეციალისტებმა ვეღარ მიაგნეს მისი ნიჭის იმ გასაღებს, რომელიც მტყორცნელს დიდების მწვერვალზე აიყვანდა. და ის ნატყორცნი საუკეთესო ცდად დარჩა მის ცხოვრებაში... ხოლო რაც შეეხება ამ ფოტოზე აღბეჭდილ ცდას, მისი ავტორი ნახვისას ალბათ გაიხსენებს.

გულდასაწყვეტილი არავინ დარჩა

ერთდროულად ორი ტურნირი გაიმართა ავსტრიის ქალაქ ეგენბურგში — ნორჩებისა (აქ 52 მოჭადრაკე გამოდიოდა) და მოზრდილთა (28 მონაწილე).

წარმატებით იასპარეზა 14 წლის ოჩამჩირელმა ოსტატობის კანდიდატმა ოთარ ხურხუმალმა, რომელსაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რენცო ჰედია ავარჯიშებს. ოთარმა ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში საპატიო მეორე ადგილი დაიკავა. ამავე ტურნირში მეხუთე-მეექვსე ადგილები გაიყვეს 12 წლის გუდაუთელმა რომან ჩაკვეტაძემ და 14 წლის სოხუმელმა ვეფხვია თოდუამ.

10 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა ტურნირში თავი გამოიჩინა სოხუმელმა ოსტატობის კანდიდატმა რუსუდან გოლეთიანმა — იგი უძლიერესი იყო. თანატოლების ასპარეზობაში ყველას აჯობა პირველთანრიგოსანმა რომან ჩაკვეტაძემ. უფროს ასაკში ტოლი არ ჰყავდა სოხუმელ ოსტატს მისაკ იაილიანს, რომელმაც ერთი ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ავსტრიელ ოსტატს კორნვალ ულმანსს.

თენგიზ პაპკორია,
„ლელოს" კორ.
სოხუმი.

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

ასტრახანსა და კრასნოდარში გრძელდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ხელბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის.

ასტრახანი. „ქარიშხალი" — ზიი — 21:33 (13:15), „კუნცევო" — „ნევა" — 22:27 (9:18), „დინამო" — ცსკა — 31:30 (18:13), ცსკა — „ქარიშხალი" — 33:20 (13:9), ზიი — „კუნცევო" — 24:26 (14:14), „ნევა" — „დინამო" 23:24 (11:15).

კრასნოდარი. მაი — ასკ (კიევი) — 29:25 (10:8), „პოლიოტი" — „კაუსტიკი" 29:25 (14:15), ფიზკულტურის ინსტიტუტი (კრასნოდარი) — ასკ (მინსკი) — 22:22 (11:10). „კაუსტიკი" — ასკ (კიევი) 25:21 (13:12), ასკ (მინსკი) — „პოლიოტი" 30:27 (17:12), ფიზკულტურის ინსტიტუტი (კრასნოდარი) — მაი 20:18 (11:9).

საქართველოს თასზე

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების სტადიონებზე გაიმართება საქართველოს თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩები. შევახსენებთ პირველი შეხვედრების ანგარიშებს: „იბერია" (თბილისი) — „კოლხეთი-1913" (ფოთი) 3:0, „გორდა" (რუსთავი) — „ცხუმი" (სოხუმი) 2:1, „გურია" (ლანჩხუთი) — „ქუთაისი" (ქუთაისი) 5:1, „მერცხალი" (ოზურგეთი) — „ბათუმი" (ბათუმი) 1:1.

საქართველოს თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები 9 ოქტომბერს გაიმართება.

დეპოლიტიზაცია

ამას წინათ გაიმართა სპორტსაზოგადოება „მართვეს" პარტიული ორგანიზაციის უკანასკნელი კრება. კრების გადაწყვეტილებით გაუქმდა „მართვეს" პარტიული ორგანიზაცია.

საქართველოს სამხედრო ცხენოსნური ვარჯიშობანი

ამ დღეებში, რედაქციაში შემოსული ხელნაწერების არქივის დახარისხებისას, ან გარდაცვლილ პროფესორ დავით კობალავას ერთ გამოუქვეყნებელ წერილს წავაწყდით. ვფიქრობთ, ეს წერილი ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ჩვენი ეროვნული სპორტით დაინტერესებული მკითხველისთვის.

საქართველო მეცხენეობისა და ცხენოსნობის კლასიკური ქვეყანაა. მთაში თუ ბარად ცხოვრება და შრომა, დამოუკიდებლობისათვის მუდმივი ბრძოლა, საქმიანი კონტაქტები სამეფოს შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, მშვიდობიან პირობებში მუშაობა და გართობა ყოველთვის ცხენთან იყო დაკავშირებული.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ცხენის გამოყენების კულტურა მაღალია, რასაც უძველესი ისტორიული საფუძველი აქვს.

ჩვენი წინაპრები მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მხედრულ ვარჯიშობას, როგორც სომამაცის, ვაჟკაცობის, ამტანობისა და ბრძოლისუნარიანობის აღზრდის საშუალებას. ქართველი კაცის ოჯახში, სოციალური წარმოშობის მიუხედავად, სამეფო კარიდან გლეხობამდე, სავალდებულო იყო მხედრული ხელოვნების ფლობა.

ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობანი იყო ერთგვარი წინასწარი მასობრივი სამხედრო მზადება, როცა მოსახლეობა სწავლობდა იარაღის ხმარებას, ცხენოსნობას და სიჩაუქეს. ცხენბურთი, რადი (რადრაბაგანი), მარულა, ისინდი, ლელო ცხენზე, ყაბახი, თარჩია, მკერდაობა, მოქნევა, ჩეხვა, საჩუქრის მოტაცება, დაბრკოლებათა გადალახვა და ცხენოსნის ვარჯიში შინაარსობრივად მხედრული ილეთების სწავლებაა, რომელთა ცოდნა აუცილებელია მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების შემთხვევაში. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

დაბრკოლებათა გადალახვა — უძველესი დროის სამხედრო მზადება, ბუნებრივი დაბრკოლებების— თხრილის, მდინარის, ღობის, წყლის აუზის, ჭიშკრისა და სხვა სახის სამხედრო მნიშვნელობის სიძნელეების დაძლევა;

მთიელთა დოღი — უბელო და ულაგმო ცხენზე ჯდომა. დოღი იმართება უგზოუკვლო მთის ფერდობებზე, კლდოვან მიდამოებში — ჭენებით. მთიელთა დოღი მშვიდობიან პირობებში დამარცხებული მტრის დევნის ან უკუქცევის ინსცენირებაა;

ჩეხვა — სამხედრო წრთობის ერთ-ერთი უძველესი ვარჯიშთაგანი, მხედრის ხმლით ბრძოლისათვის მომზადება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის თავდაცვის საქმეში;

მოქნევა — გაჭენებული ცხენის სწრაფად შეჩერება და მისი სწრაფადვე დამორჩილება, რასაც ბრძოლის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო როგორც მხედრის, ისე ცხენის მზადება დიდი და მძიმე ბრძოლისათვის.

მკერდაობა — მოწინააღმდეგისა და მისი ცხენის უკუგდება. ორი მოწინააღმდეგე მხედარი, როგორც ეს ნამდვილი ბრძოლის დროს შეიძლება მოხდეს, ცხენნავარდით უახლოვდება ერთმანეთს და გვერდით ეჯახება. მათ შორის ერთ-ერთი გამარჯვებული რჩება.

ისინდი — ძველი ქართული თამაშობა. ბრძოლა მიმდინარეობს ორ მოპირდაპირე ცხენოსან გუნდს შორის. ისინდს ძველად დიდი სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მასში აისახებოდა მხედრის მიერ ცხენის დამორჩილებისა და ბრძოლის უნარი. როდესაც მოწინააღმდეგე დამარცხებულია და გარბის, მხედარი უნდა დაეწიოს მას და ბოლო მოუღოს. ისინდი მხედრისა და ცხენის გაწვრთნილობაა, რაც ესოდენ აუცილებელია ბრძოლისას.

მარულა — ქართული ცხენოსნური სამხედრო მზადების ერთერთი უძველესი სახეობა. მარულის მონაწილე ცხენებს 25-30 კმ სისწრაფით მიაჭენებენ. ასეთი სისწრაფით, დაბრკოლებათა გადალახვით, სივრცის გრძნობით, აზრიანად ბოლომდე უნდა სდიო მტერს და დაამარცხო იგი.

წვრთნის მსგავსი სამხედრო ელემენტებია მოცემული ყოველ ზემოჩამოთვლილ საცხენოსნო ეროვნულ თამაშობებში. მათში ასახულია ქართული ცხენოსნური სამხედრო დანიშნულების ვარჯიშები, რასაც ვირტუოზულად ფლობდნენ ჩვენი წინაპრები. მაგალითად, ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათი ლაზებს იხსენიებს როგორც ძლიერსა და მამაც ტომს. ის წერს, რომ ლაზები არიან გულადნი, შეომარნი, ცხენოსანნი და, ამავე დროს, კარგი ნაოსანნი.

ჩვენი წინაპრები ძველთაგანვე ცნობილი იყვნენ მეცხენეობით და საცხენოსნო სპორტით, რასაც ადასტურებს მრავალი წერილობითი ძეგლი და ეთნოგრაფიული მასალა. უცხოური — ბერძნული და ბიზანტიური ისტორიული წყაროების გარდა, არსებობს არჩილ მეფის, თეიმურაზ მეორის, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახუშტი ბატონიშვილის შრომები სპორტისა და ცხენოსნური თამაშობების შესახებ. დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ დღევანდელი ქართული ცხენოსნური თამაშობები ჩასახვის დღიდანვე გენეტიკურ კავშირშია ძველ ქართულ ცხენოსნურ სამხედრო წვრთნასთან.

„პრობლემები? — რამდენიც გნებავთ"

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. სწავლას შეუდგნენ თბილისის სპორტული სკოლების აღსაზრდელებიც. ჩვენი კორესპონდენტი მერი დიღმელაშვილი ესაუბრა თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სპორტული განყოფილებების ინსპექტორს მიხეილ ფილიევს.

◉ რამდენი სპორტული სკოლაა განათლების სიხტემაში და რა მდგომარეობაში არიან ისინი ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის?

— სახალხო განათლების სისტემაში 28 სპორტული სკოლაა, აქედან 15 — საქალაქო დაქვემდებარებისაა, 13 — რაიონული. მათ შორის, ამ უკანასკნელთაგან 10 კომპლექსური სკოლაა, 2 სასკოლათაშორისო აუზი და ერთი სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა. საქალაქო სპორტული სკოლებიდან საკუთარი სპორტული ბაზები აქვთ ხელბურთის, ჭიდაობის, სპორტული ტანვარჯიშის, ფიგურული სრიალისა და კალათბურთის სკოლებს.

მიმდინარე წელს რემონტი ჩაუტარდა კრწანისისა და დიდუბის რაიონების სასკოლათაშორისო აუზებს, ჭიდაობისა და ხელბურთის სკოლებს, 35-ე საფეხბურთო სკოლის კაპიტალური რემონტიც მალე დასრულდება და ახალი სასწავლო წლისათვის მწყობრში ჩადგება. რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, მათი მოედნები და დარბაზებიც შესაძლებისდაგვარად კეთილმოეწყო.

● პრობლემებზე რას გვეტყოდით?

— პრობლემები? — რამდენიც გნებავთ. რაგბისა და კეტბურთის სკოლის სტადიონის კეთილმოწყობა ორი წლის წინ უნდა დამთავრებულიყო, ეს კი დღემდე ვერ მოხერხდა. როგორც ყოველთვის, განვიცდით სასკოლო ინვენტარის ნაკლებობას, განსაკუთრებით ახალგახსნილ სკოლებში. იქნებ დადგა დრო, რომ სახალხო განათლების სამინისტრომ დააყენოს მოთხოვნა განათლების საკავშირო კომიტეტის წინაშე, რესპუბლიკის სკოლების სპორტული ინვენტარით მომარაგების შესახებ. ვსარგებლობ შემთხვევით და გამოვთქვამ სურვილს, რომ მშენებარე სკოლებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შეიცვალოს ფიზკულტურის დარბაზებისა და საცურაო აუზების პროექტები.

სკოლებში განვიცდით ფიზკულტურის მასწავლებლების ნაკლებობას. წელს 50 სპეციალისტზე გაგზავნეს მოთხოვნა ფიზკულტურის ინსტიტუტში და, სამწუხაროდ, არც ერთმა კურსდამთავრებულმა არ ისურვა სკოლაში მუშაობა.

◉ რა ხიბლეებია თქვენი სიხტემის მუშაობაში, რა გეგმები გაქვთ მომავალში?

— შარშან ყველა რაიონის თითო სკოლაში გავხსენით ექსპერიმენტული კლასები ფიზკულტურის გაძლიერებული სწავლებით. ბავშვებს ყოველდღიურად უტარდებოდათ ფიზკულტურის გაკვეთილები. ამან სათანადო ნაყოფიც გამოიღო და წელსაც ვაპირებთ ანალოგიური კლასების გახსნას. რაიონების ბავშვთა სპორტული მომზადების ჯგუფები, ძირითადად, გადატანილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. განათლების სამმართველოს მითითებით, თითქმის ყველა რაიონში გავხსენით კარატეს ჯგუფები, ხოლო რაგბისა და კეტბურთის სკოლაში — ამერიკული ფეხბურთის ჯგუფები. ახალი სასწავლო წლიდან ჭიდაობის სკოლაში იმუშავებს ქალთა ძიუდოს განყოფილება.

◉ რამდენი ბავშვია გაერთიანებული სპორტულ სექციებში?

— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფსასწავლებლების სპორტულ სექციებში ვარჯიშობს 25.000-მდე მოსწავლე. დღეისათვის თბილისში სპეციალურ სამედიცინო ჯგუფებში გაერთიანებულია 5930 ჯანმრთელობაშერყეული მოსწავლე, ამათგან სპორტული მეცადინეობა უტარდება 2196 ბავშვს.

აგრეთვე გვინდა, სათანადო უურადღება მიექცეს სკოლებში მოსწავლეების დროულ სამედიცინო შემოწმებას და დაიყოს მოსწავლეთა მთლიანი კონტიგენტი სამედიცინო ჯგუფებად. სპეციალურ სამედიცინო ჯგუფებთან სამუშაოდ მომზადდა სამედიცინო კადრები. ფიზკულტურის მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები მასწავლებელთა საქალაქო დახელოვნებისა და ფიზკულტურის ინსტიტუტში.

მიზანშეწონილია, აგრეთვე, ზაფხულის პერიოდში, სუსტი ჯანმრთელობის მქონე, სპეციალურ სამედიცინო ჯგუფს მიკუთვნებული ბავშვებისათვის შეიქმნას სპორტული გამაჯანსაღებელი ბანაკი.

ვერ ელევიან საყვარელ თამაშს

უველასათვის ცნობილია ქართველ მორაგბეთა წარმატებები საკავშირო სარბიელზე. უდავოა, დღეს ძლიერი თაობა თამაშობს რაგბის, მაგრამ არც ისინი უნდა დავივიწყოთ, ვის მაგალითზეც აღიზარდა დღევანდელი თაობა და და ვინც მოუმზადა ქართულ რაგბის ასეთი ნოყიერი ნიადაგი.

ქართველ ვეტერან მორაგბეებზე მოგახსენებთ, რომლებიც დღემდე ვერ ელევიან საყვარელ თამაშს და მონაწილეობასაც ღებულობენ სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში.

ალბათ გახსოვთ, შარშან მათ მოსკოვში მოიგეს ვეტერანთა საკავშირო ტურნირი, წელს კი იქვე გაიმეორეს იგივე წარმატება.

წლევანდელი შეჯიბრება ჩვენმა ვეტერანებმა რუსეთის ნაკრებთან გამარჯვებით დაიწყეს (10:0). ჩვეული ოსტატობით ლელო გაიტანა გივი ავლასტიმოვმა, ხოლო დუგლას კავთელაშვილმა ორი საჯარიმო შეაგდო.

უფრო ძნელი გამოდგა ლენინგრადელებთან თამაში. აღსანიშნავია, რომ ნევისპირელებმა ტურნირზე ყველაზე „ახალგაზრდული" შემადგენლობა ჩამოიყვანეს და ამასთანავე საკმაოდ კარგადაც თამაშობდნენ. ეს შეხვედრა ფრედ დამთავრდა (0:0) და ფინალურ ჯგუფშიც ეს ორი გუნდი გავიდა. გაუგებარი მიზეზების გამო ლენინგრადელებმა უარი თქვეს შეჯიბრების გაგრძელებაზე და ქართველმა მორაგბეებმა მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებულ მოსკოვისა და უკრაინის გუნდებთან ერთად წრიული სისტემით გააგრძელეს ბრძოლა მთავარი პრიზისათვის.

უკრაინელებმა დაამარცხეს მოსკოველები — 18:4, მაგრამ ვერაფერს გახდნენ ქართველებთან და დამარცხდნენ 6:24. ჩვენებიდან ორი ლელო ავლასტიმოვმა გაიტანა, თითო დავით კილასონიამ და ავთანდილ ღიბრაძემ. კავთელაშვილმა ყველა გარდასახვა უნაკლოდ გამოიყენა. აქვე დავძენთ, რომ ქუთაისის „აიას" მთავარი მწვრთნელი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (16 ქულა).

ბოლო მატჩში ქართველმა ვეტერანებმა ანგარიშით 6:0 დაამარცხეს მოსკოველი მორაგბეები (კილასონია — ლელო, კავთელაშვილი — გარდასახვა) და ტურნირის მთავარი პრიზი — ბროლის თასი და ოქროს მედლები მოიპოვეს. მიუხედავად „ხანდაზმულობისა" მათ დიდებული თამაში აჩვენეს და თავისი „საუკეთესო წლებიც" გაიხსენეს.

გუნდის უფროსი მწვრთნელი გახლდათ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ყიფიანი. მას ეხმარებოდნენ სერგო კეშლეავა და რომეო ღვინერაშვილი.

მოსკოვის ტურნირზე ძველებური შემართებით ითამაშეს: გ. მოდებაძემ, ს. დადეშქელიანმა, ბ. პეტრიაშვილმა, გ. სუთიაშვილმა, თენგიზ რუხაძემ, თემურ რუხაძემ, დ. კავთელაშვილმა, ვ. თოფურიამ, თ. ჯორჯაძემ, ლ. ქავთარაძემ, ა. ღიბრაძემ, ვ. შვანგირაძემ, დ. კილასონიამ, გ. ავლასტიმოვმა, ე. ფირცხალაიშვილმა, თ. შარაშენიძემ, შ. კოდუამ, თ. ცინცაძემ, ვ. კაპანაძემ, გ. მიქაბერიძემ (კაპიტანი), მ. ქურდობაძემ, ს. მირონოვმა, ო. ნაცვლიშვილმა და დ. თაქთაქიშვილმა.

* * *

ტურნირში გამარჯვებული ქართველი ვეტერანი მორაგბეები.
დავით თაქთაქიშვილის ფოტო.

ევროპის საფეხბურთო დღე

სპორტულ წრეებში ასე უწოდებენ იმ დღეებს, როცა ევროპის საფეხბურთო მინდვრებზე იმართება ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის ტრადიციული სათასო ტურნირების მატჩები. სწორედ ასეთი დღეა 19 სექტემბერი. ხანგრძლივ ბრძოლაში ჩაებმება ევროპის მთელი საფეხბურთო ელიტა. როგორც წესი, გათამაშება იწყება სექტემბერში, დასკვნითი, ფინალური შეხვედრები კი გაიმართება 1991 წლის გაზაფხულზე.

ამ შეჯიბრებებში თბილისის „დინამოს“ ნათამაშევი აქვს ჩემპიონთა თასზეც, თასების მფლობელთა თასზეც და უეფა-ს თასზეც. ეს მეტად პრესტიჟული მაჩვენებელია, მაგრამ ახლა ჩვენ ჯერჯერობით ამ მეტად საინტერესო შეჯიბრების მიღმა ვდგავართ. ჩემპიონთა თასზე მოსკოვის „სპარტაკი“ ჩეხოსლოვაკიის ცნობილ გუნდს პრაღის „სპარტას“ ეთამაშება, კიევის „დინამო“ თასების მფლობელთა თასზე — ფინეთის „კუოპიოს“, ხოლო უეფა-ს თასზე გამოდის სამი გუნდი: ოდესის „ჩერნომორეცი“ ხვდება ნორვეგიის „რუსენბორგს“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — „შოტლანდიის „ჰართსს“, ხოლო მოსკოვის „ტორპედო“ — შვეიცარიის გაი-ს. ამ წყვილებიდან ყურადღებას იპყრობს სპარტაკელთა და დნეპროპეტროვსკელთა მატჩები, სხვა შემთხვევებში საბჭოთა გუნდებს შედარებით იოლი მეტოქეები შეხვდნენ.

ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან შეჯიბრების ორგანიზატორები თასების გათამაშებათა პირველ ეტაპებზე ძლიერ მეტოქეებს სუსტებთან აწყვილებენ და ეს ხდება სავსებით სამართლიანად, იმ მიზნით, რომ გათამაშების პირველ ეტაპებზე ძლიერმა გუნდებმა ერთმანეთთან შეხვედრებით იოლი გზა არ გაუკაფონ სუსტ გუნდებს. არ შეიძლება პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ, ვთქვათ, მადრიდის „რეალი“ და მიუნხენის „ბაიერნი“, ხოლო ფინალში გავიდნენ კიპროსის „აპოელი“ ან მალტის „ვალეტა“...

სულ წლევანდელ გათამაშებაში ჩაებმება კონტინენტის 128 საუკეთესო კლუბი. ბოლო ოთხი წელია, საბჭოთა ფეხბურთელები აშკარად სუსტდა თამაშობენ ევროპის საკონტინენტო ასპარეზზე, შესაბამისად ამისა, მათი საერთო კოეფიციენტიც თანდათან კლებულობს და, თუ წინა წლებში უეფა-ს თასზე სსრ კავშირი 4 გუნდით გამოდიოდა, ახლა ეს ლიმიტი სამამდე შემცირდა. თუ საბჭოთა გუნდებმა შემდგომშიც ასეთი მაჩვენებლებით განაგრძეს თამაში, კოეფიციენტი კიდევ უფრო შემცირდება, მასთან ერთად, რა თქმა უნდა, შემცირდება უეფა-ს თასზე მონაწილეთა რაოდენობაც. ის დრო, როცა სსრ კავშირი ევროპულ საკლუბო ტურნირებზე პირველ სამეულში იმყოფებოდა წარსულს ჩაბარდა, ახლა იგი უკვე მეშვიდე ადგილამდე დაეშვა, მაქსიმალური რაოდენობის გუნდებით კი გამოვლენ იტალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ესპანეთი. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის, რომ წინა გათამაშებაში უნიკალურ წარმატებას მიაღწიეს იტალიელებმა. კერძოდ, მათ სამივე ტურნირში პირველი ადგილები დაიკავეს:

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული საკლუბო ტურნირების სტარტზე ძლიერი გუნდები ერთმანეთს არ ხვდებიან, მაინც არის საინტერესო წყვილები. მაგალითად, ჩემპიონთა თასზე იტალიის „ნაპოლი“ შეხვდება უნგრეთის „უიპეშტ დოჟას“, ხოლო იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა“ — შვეიცარიის „გრასჰოპერსს“, თასების მფლობელთა თასზე დაწყვილდნენ საფრანგეთის „მონპელიე“ და ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კაიზერსლაუტერნი“ და იტალიის „სამპდორია“; კიდევ უფრო საინტერესო წყვილებია უეფა-ს თასზე — ინგლისის „ასტონ ვილა“ და ჩეხოსლოვაკიის „ბანიკი“, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ლევერკუზენის „ბაიერი“ და ჰოლანდიის „ტვენტე“, იტალიის „ატალანტა“ და იუგოსლავიის ქალაქ ზაგრების „დინამო“, იტალიის „რომა“ და პორტუგალიის „ბენფიკა“, ავსტრიის „რაპიდი“ და იტალიის „ინტერი“.

„ქართველმა ფეხბურთელებმა დღეს იერიშების ნამდვილი კორიანტელი დაატრიალეს ბრაზილიელთა კართან — სახელგანთქმული პელეს „ხანტოსი“ გაპირვებით იგერიებს ფლანგებიდან შეხვიხა და მეტრეველის ჩამოწოდებულ ბურთებს, მოედნის ხიღრმიდან იამანიძისა და გიორგი სიჭინავას გაუთავებელ რეიდებს, ბარჭაიასა და კალოევის უუმბარისებურ დარტყმებს...“

აუჰ, აქ რაღაც შეშლია ავტორს?! —იტყვის, ალბათ, მკითხველი. ვჩქარობთ, გაგარკვიოთ: არავითარი შეცდომა თუ უზუსტობა — ასეთი „რადიორეპორტაჟი“ მართლაც გაიმართა ამ 25 წლის წინათ, ოღონდ მას... ერთი მსმენელი ჰყავდა. აი ამაზე კი უფრო დაწვრილებით.

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის საგენერატორო უბნის ცვლის ახალგაზრდა ტექნიკოსმა ჯამლეტ ხუხაშვილმა ერთ მშვენიერ დღეს



პირველი იყო პელეს „სანტოსი“

ანუ მეოთხედი საუკუნე მიკროფონთან

გადაწყვიტა ფეხბურთის კომენტატორი გამხდარიყო, აი ისეთი, ეროსი მანჯგალაძე და კოტე მახარაძე რომ იყვნენ. ტექნიკუმი ახალი დამთავრებული ჰქონდა, 17 წლისა გახლდათ. რომანტიკას ეძებდა — რომანტიკას... ეთერში, მიკროფონით.

— ერთი ძველი, მთლად დანჯღრეული მაგნიტოფონი მქონდა, ჩემმა შეგობარმა მხატვარმა შოთა შანიძემ მაჩუქა — გვიამბობს სპორტული კომენტატორის სარბიელზე თავისი პირველი ნაბიჯების შესახებ ჯ. ხუხაშვილი — ღამის ცვლაში ვმორიგეობდი, დრო ბევრი მქონდა და ხშირ-ხშირად მივუჯდებოდი ხოლმე მიკროფონს. ჩემი საყვარელი თბილისის „დინამოს“ პირველ მეტოქედ არც მეტი, არც ნაკლები, სან-პაულუს „სანტოსი“ შევარჩიე — იმხანად მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო კლუბი — ლეგენდარული პელესა და ზიტოს, ჟილმარისა და ორლანდოს, კუტინიოს, ტოსტაოს, ედუს, კარლოს ალბერტოს შობლიური გუნდი.

ამას მოჰყვა დინამოელთა „მატჩები“ ინგლისის „ტოტენჰემთან“, ესპანეთის „რეალ-მადრიდთან“, პორტუგალიის „ბენფიკასთან“... ცხადია, ყველა შეხვედრაში ქართველ ფეხბურთელებს „ამარჯვებინებდა“ — ისინი განუწყვეტლივ უტევდნენ და გაუთავებლად ბომბავდნენ მრისხანე მეტოქეთა კარს. მაგნიტოფონი დაუღალავად ტრიალებდა. ვინ მოთვლის, ასეთი რამდენი ფირი ჩაწერა მომავალმა კომენტატორმა. ჯამლეტს მაშინ მხოლოდ ერთი მსმენელი ჰყავდა — მისი მეწყვილე ტექნიკოსი. ამდენი რეპორტაჟების მოსმენით საცოდავ კოლეგას პირდაპირ თავი გაუსივდა და, როგორც ჯამლეტი ამტკიცებს, იგი უკვე სერიოზულად უჩიოდა ჯანმრთელობას.

ჯამლეტმა ცნობილ სპორტულ კომენტატორს კოტე მახარაძეს მიუტანა თავისი ჩანაწერები. კოტემ ყურადღებით მოისმინა რეპორტაჟი (ერთი სრული ტაიმი), თავაზიანად მოიწონა და ჰაბუკს რეკომენდაცია გაუწია რადიოს უკანასკნელ ცნობათა რედაქციის მთავარ რედაქტორთან — ნიკოლოზ აბზიანიძესთან. ამ უკანასკნელმა ხუხაშვილი პირდაპირ „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაგზავნა სტუდიის პორტატიული მაგნიტოფონით თბილისელთა თამაშის ჩასაწერად. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჯამლეტს ტექნიკამ უმტყუნა და ჩანაწერი არ გამოვიდა.

— რას ვიზამდი, დილით ჩემი „ხმა“ რადიოში უნდა მომეტანა. ავიღე და ხელმეორედ ჩავიწერე „თამაში“, ამჯერად — სახლში — იგონებს ჯ. ხუხაშვილი — მთელ ფანტაზიასა და იმპროვიზაციას მოვუხმე, ადგილ-ადგილ სტადიონის „სუნთქვაც“ გამოვიყენე. საერთოდ ძალზე მაღალ ტემპში „წარვმართე“ თამაში, მრავალი მომენტი „შევქმენი“ და ხუთი გოლიც „გავიტანე“.

— ჩინებულია... ოღონდ ამ დღეს ჩვენები ასე კარგად არ თამაშობდნენ — ეშმაკობას მიუხვდა მთავარი რედაქტორი — მაგრამ არა უშავს რა: ეს „შინაური მონტაჟი“ შენს ნიჭსა და მოხერხებულობაზე მეტყველებს. ასე რომ, დამილოცნიხარ დიდი ეთერისათვის!

ასე შეემატა ჯამლეტ ხუხაშვილი ქართველ კომენტატორთა რიგებს, რომელშიც უკვე იყვნენ დავით ძიგუა, შოთა არჩვაძე, ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, თენგიზ ნათაძე, ნოდარ გიორგობიანი, მირანგულ ავსაჯანიშვილი და სხვები.

◎ ვის უმადლით ყველაზე მეტად თქვენს არჩევანს?

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში, დიდებულ ეროსი მანჯგალაძეს და კოტე მახარაძეს. მათგან ბევრი რამ ვისწავლე. დიდად დავალებული ვარ ჩვენი ტელევიზიის მაშინდელი ახალგაზრდული რედაქციის მთავარი რედაქტორის თემო ნაცვლიშვილისა და მთავარი რეჟისორის შოთა ქარუხნიშვილისაგან (იგი ამჟამად მოსკოვში მუშაობს ცენტრალურ ტელევიზიაში) — ორივე ძალიან ბევრს მეზმარებოდა, მუდამ საქმიან რჩევა-დარიგებას მაძლევდა, კეთილმსურველობასა და გულშემატკივრობას იჩენდა ახალგაზრდა კომენტატორისადმი. მაპატიეთ, მაგრამ, აქვე მადლობით მინდა მოვიხსენიო ჩვენი „ერთი“ სპორტული ჟურნალისტიც, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა, როგორც კომენტატორს — მეც ფანატიკურად შემაყვარა ფეხბურთი, მრავალი სასარგებლო რჩევა მომცა და, რაც მთავარია, მაზიარა თავის უნიკალურ სპორტულ ბიბლიოთეკას. თამამად შეიძლება ითქვას, ფეხბურთის მატჩებისათვის მე სწორედ მისი მასალებით ვემზადებოდი და ეს გაკვეთილები დღესაც ჩემს მუდმივ თანამგზავრად მახლავს...

◎ თქვენი პირველი ოფიციალური რეპორტაჟი...

— ზუსტად 25 წლის წინათ, 1965 წლის 9 სექტემბერს შედგა ქუთაისში. ადგილობრივი „ტორპედო“ და მოსკოვის „სპარტაკი“ ხვდებოდნენ ერთმანეთს. 1:1 — ძალიან საინტერესო მატჩი იყო. დებიუტანტის რადიორეპორტაჟი, ყოველი შემთხვევისათვის, არ გაუშვეს პირდაპირ ეთერში — იგი ნახევარი საათის შემდეგ გადაიცა. სტადიონიდან უკვე ყველა წასული იყო და მე რადიოს მოსასმენად ქალაქის საპარიკმახეროში შევედი. ახალი გაპარსული ვიყავი და... ერთი სიტყვით, თმები შევასწორებინე აქა იქ და თან კედელზე ჩამოკიდებულ რეპროდუქტორს ვუსმენდი პარიკმახერებთან ერთად მათი გაუთავებელი კომენტარების თანხლებით. თბილისში ჩამოსულს მომილოცეს ნათლობა — ამიერიდან ოფიციალურად ამოვუდექი მხარში ჩემს საყვარელ სპორტულ კომენტატორებს.

◎ ყველაზე დასამახსოვრებელი რეპორტაჟი...

— 1978 წლის მატჩისა — მოსკოვში, ადგილობრივ „ლოკომოტივთან“ ჩვენი „დინამოს“ შეხვედრისა, რომელიც ფრედ დამთავრდა — 0:0. რეპორტაჟი კოტე მახარაძეს და მე მიგვყავდა ერთდროულად. აი, დამოუკიდებელი რადიორეპორტაჟებიდან კი ყველაზე კმაყოფილი ვარ 1979 წლის მატჩისა ინგლისის „ლივერპულთან“. — შეიძლება იმიტომაც, რომ ჩვენებმა მთელი თამაში ბრწყინვალედ ჩაატარეს და 3:0 გაიმარჯვეს. რაც შეეხება ტელერეპორტაჟებს, აქ 1981 წლის ერევნის მატჩს გამოვყოფ „არარატსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის, რომელიც ჩვენებმა 4:1 მოიგეს.

◎ ახლა, ტრადიციულად, კუარიოზების შესახებ?

— ერთი მათგანი თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რადგან მაშინ ერთად ვიყავით ოდესაში — თქვენ „კომუნისტიდან“ თუ „ლელოდან“, მე კი — რადიოდან. რეპორტაჟი სულ ხუთი წუთი მიმყავდა ნორმალურად, მერე მოულოდნელად ხაზი გაწყდა. მივვარდი სტადიონის დირექტორს: მიშველეთ-მეთქი. მან გამიღო თავისი სამუშაო ოთახი, ტელეფონთან დამსვა. იძულებული გავხდი ასე ტელეფონით გამეგრძელებინა რეპორტაჟი. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ოთახიდან მხოლოდ მოედნის ერთი ნაწილი — უფრო სწორედ ჩვენი ნახევარი — ჩანდა. როდესაც ბურთი ოდესელთა საჯარიმოში იყო, ადგილობრივი ტექნიკოსი ეკსტიკულაციით მიხსნიდა სიტუაციას. აი მეორე ამბავი კი თქვენ არ გეცოდინებათ, ალბათ: მოულოდნელად გამომიცხადეს, რომ თბილისელთა თამაში დონეცკს „შახტიორთან“ რუსულად უნდა წამეყვანა. მთლად დავიბენი. ვიცოდი, რომ ჩემს ტელერეპორტაჟს უზარმაზარი აუდიტორია ეყოლებოდა უკრაინაში — დაახლოებით სამოცდაათი მილიონი კაცი. ამიტომ განსაკუთრებით ვემზადებოდი — არ დავტოვე რუსული გრამატიკის წიგნი თუ ლექსიკონი, ნაცნობ პედაგოგებსაც მივაკითხე, რაიმე შეცდომა რომ არ მომსვლოდა ბრუნვაში. თამაშის შემდეგ კიევის ტელევიზიაში დავრეკე კოლეგებთან — იური ვისტავკინთან და ვიქტორ ფისუნთან: „როგორ მოგეწონათ ჩემი რეპორტაჟი?“ თავზე მდუღარე გადამასხეს — არავითარი რეპორტაჟი არ ყოფილა, ტექნიკური მიზეზ ით (ერთ-ერთ ენერგ) ვერ მოხერხდა ძისი ჩაწერა. ეს გადა მთელი კვირა კი ვემზადებოდი...

◎ ხამგიერად თქვენ მშობლიურ ენაზე, ივრითზე — წაიყვანეთ, მგონი, ერთხელ რეპორტაჟი?

— არა, მთლად ასე არ იყო. ისე კი ისრაელში მე მართლაც მიმყავდა მატჩები. შარშან იყო ეს თბილისიხ „დინამოს“ ტურნეს დროს. ისრაელის ტელერადიოს თანამშრომლებმა ნება დამრთეს... ქართულ ენაზე წამეყვანა ფეხბურთის რეპორტაჟი. ადგილობრივ კომენტატორს და მე შენაცვლებით მიგვყავდა იგი ორ ენაზე. ეს იყო თბილისელთა მატჩები თელავივსა და ხაიფის „მაკაბის“ გუნდებთან. მერე, მსაპინძლებმა მთხოვეს, ისრაელის ჩემპიონატის ცენტრალური მატჩიც წამეყვანა ხაიფიდან გათამაშების ლიდერების — ზემოთ ხსენებული ორი „მაკაბის“ მონაწილეობით.

◎ ფეხბურთის გარდა, სპორტის კიდევ რომელი სახეობის რეპორტაჟები მიგყავდათ?

— კალათბურთის, სპორტული ტანვარჯიშის, ფრენბურთის, ველოს, ჭიდაობის ყველა სახეობის...

◎ ერთი დელიკატური ამბავი: გამოგიტყდებით, როდესაც „ლელოში“ ერთ-ერთ საკავშირო ტურნირში გამარჯვებული თბილისის „ნორჩი დინამოელის“ გუნდის ფოტოსურათი მოგვიტანეს, ცოტა არ იყოს გაგვიკვირდა — მწვრთნელების — ლევან ინწკირველის, ალექსანდრე კილაძისა და მიხეილ ასტაშვილის გვერდით თქვენც იდექით. ვიღაცამ ისიც თქვა; როდის იყო ეურნალისტები მწვრთნელებთან ერთად იდებდნენ საგაზეთო ფოტოსო.

— საერთოდ, სპორტში იშვიათი როდია მემკვიდრეობა, ესე იგი, როდესაც შვილი მისდევს მამის კვალს. ამ შემთხვევაში კი პირიქით მოხდა — მე წავედი... შვილის კვალზე. საქმე ისაა, რომ მიშიკომ და ჩემმა ძმისშვილმა გიამ კალათბურთელობა გადაწყვიტეს. ამიტომ მეც სასწრაფოდ სპორტის ამ სახეობის სპეციალისტი გავხდი — დავამთავრე მწვრთნელთა სკოლა და მუშაობა დავიწყე „დინამოს“ კალათბურთელთა სკოლაში, დიდებული გიორგი ავალიშვილი რომ ედგა სათავეში. ძალიან მაინტერესებდა, შევძლებდი თუ არა რაიმეს მიღწევას. მგონი მაინც გამოვიდა რაღაც — ჩვენი გუნდის ბიჭები 1988 წელს ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ. დღეს, 46 წლის ასაკში, შეიძლება ითქვას, უკვე სტაჟიანი მწვრთნელი ვარ. ახლა თბილისის „მაკაბის“ კალათბურთელთა გუნდს ვავარჯიშებ, რომელშიც ძირითადად ქართველები და ებრაელები თამაშობენ. სხვათა შორის, კარგი პერსპექტივები გვაქვს: ვიასპარეზებთ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატსა და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში, გამოვალთ ეგრეთ წოდებულ „მაკაბიადებში“ (გაისად მისი გამართვა თელავივშია განზრახული) — ესე იგი სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელთა დიდ ტრადიციულ ზეიმში. იგი მარტო სპორტი კი არაა, არამედ მრავალფეროვანი კულტურული პროგრამაც. მისი მონაწილენი ცდილობენ ღირსეულად წარმოადგინონ და წარმოაჩინონ ის ქვეყანა, რომელშიც ცხოვრობენ. სწორედ ამიტომ ველით მორიგ „მაკაბიადას“ ასეთი ‘გულის ფანცქალთ. მერწმუნეთ, ქართველი ებრაელისათვის მშობლიური საქართველოს დიდების გატანა მსოფლიოში დიდი ოცნება და საშური საქმეა.

ოთარ ნოზაძე

* * *

„...რეპორტაჟი მიპყავდა ჯამლეტ ხუხაშვილს“.

ვირგილიუს მუნდრისის (ვილნიუსი) ფოტო.

კვლავ თამაშის წესების თაობაზე

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის თამაშის წესების კომიტეტმა ამას წინათ, იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, დამტკიცა საფეხბურთო კოდექსის რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. ამის შესახებ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო წერილი და საგანგებო ინტერვიუც საერთაშორისო კატეგორიის არბიტრ კარლო ურუაშვილთან.

მას შემდეგ რედაქციაში მრავალი წერილი მივიღეთ, ფეხბურთის მოყვარულებს აინტერესებთ, თუ რას ფიქრობს ფიფა-ს წესების კომიტეტი იმის თაობაზე, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა განაცხადა — მომავალში ფეხბურთის წესებში კვლავ მოხდება ცვლილებები, კერძოდ, საჭიროა ახლანდელი ორი ტაიმის ნაცვლად დაინიშნოს 4 ტაიმი, თითოეული 25 წუთის ხანგრძლივობით, შესვენებათა დრო კი გამოიყენონ რეკლამისა და სავაჭრო ფირმების განცხადებათა გამოსაქვეყნებლად.

ამის თაობაზე ჟ. აველანჟმა „ფრანს ფუტბოლის“ რედაქტორთან უაკ ტიბერთან საუბარში თავისი აზრი გამოთქვა:

— სანამ ამ საკითხს შევეხებოდე, ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა მატჩისშემდგომი დამატებითი 11-მეტრიანების შესახებ. ყოველი შეჯიბრების დაწყების წინ, რომელიც დამატებით პენალტებს ითვალისწინებს, არავის აქვს პრეტენზია მათ სამართლიანობასა და კანონიერებაზე, მაგრამ როგორც კი რომელიმე გუნდი ამ წესით თამაშს წააგებს, მაშინვე იწყება უკმაყოფილება, რომ სრულყოფილი არაა. ეს რომ მართლა ასე იყოს, პრეტენზიები გამოითქმებოდა ადრევე და არა მხოლოდ წაგების შემდეგ. ცხადია, დამარცხებული ყოველთვის განაწყენებულია, მაგრამ მე ჯერ არ მინახავს გუნდი, რომელსაც დამატებითი 11-მეტრიანებით გაემარჯვოს და მერე გამოეთქვას საყვედური ამ წესის სამართლიანობაზე.

რაც შეეხება ჩემს პროექტს იმის თაობაზე, რომ ფეხბურთში დაწესდეს ოთხი 25-წუთიანი ტაიმი, ეს შორეული ამბავია. ამას სჭირდება ექსპერიმენტები, გამოცდა ოფიციალურ შეჯიბრებებში. ყოველ შემთხვევაში, ის კი შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ 1998 და 2002 წლებამდე ამ სიახლის დაწესებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. რაც შეეხება 4 ტაიმს, ჩემი აზრით, ეს დაინტერესებს სამრეწველო ფირმებს, სპონსორებს; ფეხბურთის მეტი შემოსავალი ექნება, გარდა ამისა, ოთხი ტაიმი ორის ნაცვლად თვით თამაშის არსს არ ცვლის. შესაძლო ამ სიახლემ მეტი დაინტერესება კი გამოიწვიოს, ამიტომაც თავიანთი სიტყვა და საბოლოო განჩინება ამ საკითხზე უნდა გამოიტანონ თვით ფეხბურთელებმა და სპეციალისტებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში კედლებიც ეხმარებიან?

ავტორალში მსოფლიო ჩემპიონატის მე-8, ფინეთის ეტაპს, რომელიც მეორმოცედ გათამაშდა, „1000 ტბა“ ეწოდება.

ფინელი პილოტებისთვის ეს ეტაპი, ერთი შეხედვით, არ უნდა ყოფილიყო რთული, რადგან მათ თითქმის ზეპირად იცვან ტრასა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, გამოთქმა — „სახლში კედლებიც ეხმარებიან“, ყოველთვის არ მართლდება.

ფინელ იუჰა კანკუნენთან კონტრაქტის განახლების შემდეგ, „ლანჩას“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფრანგ დიდი ორიოლთან მოლაპარაკებას აწარმოებენ „ფორდი“ და „ტოიოტა“.

არავითარი პრობლემა არ აწუხებს მასიმო ბაისიონს, რომელთანაც „ლანჩამ“ ახალი კონტრაქტი გააფორმა 1991 წლის ბოლომდე.

რალიმ „1000 ტბა“ სტარტი აიღო ქალაქ იუვასკიულას ცენტრიდან, რომელიც ჰელსინკიდან 350 კილომეტრითაა დაშორებული.

პილოტებს 1604 კმ სიგრძის დისტანცია უნდა დაეფარათ 42 სპეციალური მონაკვეთით.

საკვალიფიკაციო რბოლები, სადაც ეკიპაჟებს სისწრაფის 6 მონაკვეთი უნდა გაევლოთ, დილით ადრე გაიმართა და წვიმიან ამინდში მიმდინარეობდა.

იუჰა კანკუნენმა და დიდიე ორიოლმა ტექნიკური მიზეზების გამო ვერ აჩვენეს საუკეთესო დრო და მაყურებლებს ისღა დარჩენოდათ, რომ იაპონური გუნდების პაექრობისთვის ედევნებინათ თვალი, სადაც თავი გამოიჩინა „ტოიოტას“ ეკიპაჟმა.

სულ საკვალიფიკაციო რბოლები გაიარა 186 ეკიპაჟმა.

შეჯიბრების პირველ დღეს ერთ-ერთი მოსახვევიდან გამოსვლისას დიდიე ორიოლმა ვერ დაიმორჩილა საჭე და... „ლანჩამ“ მარცხენა დაზიანებული მხრით განაგრძო გზა, თუმცა მექანიკოსებმა სწრაფად შეაკეთეს ავტომობილი და ფრანგმა პილოტმა მხოლოდ სამი წამი დაკარგა.

პირველი დღის შემდეგ ლიდერობა ხელში ჩაიგდო კარლოს საინცლუის მოიას (ესპანეთი, „ტოიოტა-ჩელიკა“) — 4 საათი, 40 წუთი და 55 წამი; 2. ა. ვატანენი — ბ. ბერგლუნდი (ფინეთი, შვეცია, „მიცუბიში-გალანტი“) — ჩამორჩა 19 წამით; 3. კ. ერიკსონი — ს. პარმანდერი (შვეცია, „მიცუბიში-გალანტი“) — 1 წუთით და 58 წამით; 4. მ. ალენი — — ი. კივიმიაკი (ფინეთი, „სუბარუ-ლეგასი“) — 5 წუთით და 52 წამით; 5. ი. კანკუნენი — ი. პიირონენი (ფინეთი, „ლანჩა მარტინი-დელტა ინტეგრალე“).



ჩემპიონატს 145 ქულით ლიდერობს კარლოს საინცი. 67 ქულით მეორეა დიდიე ორიოლი, მესამეზე — მასიმო ბიასიონი (64 ქულა). შემდგომ ადგილებზე არიან იუჰა კანკუნენი (50), მიხაელ ერიკსონი (26), ბიორნ ვალდეგაარდი (20 ქულა).

ამრიგად, პირველად ფინეთის „1000 ტბის“ გათამაშებებში გამარჯვება იზეიმა არა ფინელმა, არამედ ესპანელმა პილოტმა.

დავით ჩუბინიძე

იური შეპეტკოვი



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კრივში, სპორტის ოსტატი იური ივანეს ძე შეპეტკოვი.

ი. შეპეტკოვი დაიბადა 1933 წელს თბილისში. მან ორმოციანი წლების მიწურულს დაიწყო ვარჯიში, იყო საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი, 1955-59 წლებში კი ფლობდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის ტიტულს. იგი წარმატებით გამოდიოდა ხალრთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებებში ავსტრიის, ირანისა და ფინეთის გუნდებთან.

ი. შეპეტკოვი ნაყოფიერად მოღვაწეობდა სამწვრთნელო ასპარეზზე სპორტსაზოგადოება „მართვეში“, მის მიერ აღზრდილთა შორის ვხვდებით მსოფლიო პირველობის პრიზიორსა და ევროპის ჩემპიონს ჭაბუკთა შორის კახა ბარავის, სსრ კავშირის ჩემპიონს ჭაბუკებში ხვიჩა ხეთურიძეს, ამავე ასაკის ხაკავშირო პრიზიორს თამაზ ჭკრიალაშვილს და სხვა. ღვაწლმოსილი მწვრთნელი მრავალი წლის განმავლობაში იყო საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

კარგი მწვრთნელისა და გულისხმიერი აღმზრდელის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის კოლეგებსა და მოწაფეებს შორის.

საქართველოს სპორტსახკომი, კრივის ფედერაცია, „მართვეს“ რესპუბლიკური საბჭო.

I ლიგა

„დინამო“ (სოხუმი) — „ლოკომოტივი“ (ნიჟნი ნოვგოროდი) 2:2 (1:2)

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 16 სექტემბერი.

„დინამო“: ოვჩინიკოვი, საბიტოვი, რ. თარბა, ხ. თარბა, თ. ლოგუა, ენიკი (ტუნკინი), კვარაცხელია (ნოსკოვი) ახვლედიანი, შეპტიცკი (სმირნოვი), ჩალიგავა, ბაგბა.

„ლოკომოტივი“: დობრინინი, ეგოროვი (ფროლოვი), მასლიაევი, იაკოვლევი, გარმაშევი, კუზმინი, გორელოვი (გ. ჩქარეული), შჩუკინი, ჩერეშევი, პავლოვი, ნაზარენკო (ცილურიკი),

მსაჯი: ა. ლიტვინენკო (კიევი) .

გაფრთხილება: ა. გარმაშევი.

გოლები: დ. ჩერეშევი, გ. ჩალიგავა; ხ. კუზმინი, თ. ლოგუა.

ორი მატჩი საფრანგეთში

ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად საფრანგეთში სტუმრობდა ინყოფბოდა სსრ კავშირის ფეხბურთელ ქალთა ნაკრები. პირველი მატჩი შედგა ქალაქ სენ-ლოში (ნორმანდია), გამარჯვეს სტუმრებმა — 2:1. მეორე შეხვედრა საფრანგეთის ერთ-ერთ უძველეს ქალაქში შარტში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ეს ვიზიტი საბჭოთა ფეხბურთელი ქალებისთვის მზადების ბოლო ეტაპი იყო 1991-1993 წლების ევროპის ჩემპიონატისთვის. თვით ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის, სადაც პირველად მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა ნაკრები, რიგით მეოთხე საკონტინენტო შეჯიბრებაა. პირველ სამ გათამაშებაში ჩემპიონობა მოიპოვეს შვეციის, ნორვეგიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებმა. საფრანგეთის ფეხბურთელი ქალები ორჯერ მონაწილეობდნენ ევროპის ჩემპიონატების ფინალებში, ამითმაც ეს გუნდი ძლიერ მეტოქედ ითვლება. საბჭოთა ფეხბურთელ ქალებს ახლა კალენდარული შეხვედრა მოელით პოლონეთის ნაკრებთან.

დოქტორის წოდება — არტურ ეშს

ახლო წარსულში ცნობილ ჩოგბურთელს, შემდეგ კი აშშ-ის ჩოგბურთელთა ნაკრების მწვრთნელს არტურ ეშს, თავის დროზე უიმბლდონის ჩემპიონს, ჰარტფორდის უნივერსიტეტში (კონექტიკუტის შტატი) მიენიჭა ჰუმანიტარული მეცნიერებების დოქტორის წოდება.

„უკანასკნელი ინსტანცია“ — დედა

მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის აღმზრდელი, ცნობილი მოსკოველი ოსტატი ალექსანდრე ნიკიტინი, საკუთარი განცხადებით, უკვე აღარ ღებულობს მონაწილეობას მომავალი მატჩისათვის მზადებაში. როგორც ნიკიტინმა ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში განაცხადა, საკითხს — ვინ უნდა იყოს კასპაროვის შტაბში და ვინ არა— საბოლოოდ მსოფლიო ჩემპიონის დედა — კლარა კასპაროვა გადაწყვეტს.

ყოფილი მოყვარული თავის თავზე და სხვა მოყვარულებზე

როგორც ცნობილია, ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე (ჩატარდა ამას წინათ იაპონიაში) ოქროს მედალი სპრინტში პროფესიონალთა შორის მოიპოვა გდრ-ის წარმომადგენელმა მიჰაელ ჰიუბნერმა, რომელიც ადრე წარმატებით ასპარეზობდა მოყვარულებში და, ფაქტობრივად, მეორე სპრინტერი იყო ლეგენდარული ლუც ჰესლიჰის შემდეგ.

ამ დღეებში ჰიუბნერს ინტერვიუ ჩამოართვა „დოიჩეს შპორტეხოს“ (ბერლინი) კორესპონდენტმა. მოგვყავს რამდენიმე საინტერესო ადგილი ამ დიალოგიდან:

◎ როგორ აფასებთ თქვენს 1986 წლის წარმატებას და შეიძლება თუ არა შეადაროთ იგი წლევანდელ გამარჯვებას?

— დავიწყოთ იმით, რომ ოთხი წლის წინ მოყვარული ვიყავი და ნებისმიერი გამარჯვება ბავშვურ სიხარულს მანიჭებდა. თანაც იმ წელს ენერგიის გასაოცარ მოზღვავებას ვგრძნობდი და არ ვიცოდი, როგორ დამეოკებინა იგი. ახლანდელი წარმატება უფრო აკადემიურია და იგი მოვიდა რთული, წინასწარ დაგეგმილი მუშაობის შედეგად, რომელშიც გათვლილი იყო ჩემი ცხოვრების ყოველი დღე, ყოველი საათი, წუთი.

◎ სად ემზადებოდით ჩემპიონატისათვის, შინ თუ უცხოეთში?

— ძირითადი მოსამზადებელი ციკლი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გავიარე. თანაც ბილ ჰუკის სახით ბრწყინვალე სპარინგპარტნიორი მყავდა. ჩვენ კარგად ვავსებდით ერთმანეთს. ალბათ ამითმაც იყო, რომ მე მსოფლიო ჩემპიონი გავხდი პროფესიონალებში, ბილი კი მოყვარულებში.



ჰიუბნერი ახპარეზობისას

◎ თქვენ, თუ არ ვცდებით, შეჯიბრების დაწყებამდეც მთავარ ფავორიტად ითვლებოდით?

— დიახ, ეს ასე იყო, თუმცა 31 წელს უკვე გადავაბიჯე. ზოგს ალბათ უკვირს კიდეც, ამ ბერიკაცს რა ესაქმება ტრეკზეო. მე მივიღებდი ამ შენიშვნას, სისწრაფე რომ კვლავინდებურად მაღალი არ მქონდეს. აბა მითხარით, ვინ აჩვენებს ბოლო 200 მეტრზე 10,1 წამს?— არავინ, მოყვარულ ჰუკის გარდა. ჰოდა რახან ასეა, ჯერ სპორტს თავს არ დავანებებ. მომიგონ ახალგაზრდებმა, დამარწმუნონ, რომ ჩემზე ძლიერები არიან. მაშინ სხვანაირად ვილაპარაკებ.

◎ რა მოგიტანათ ამ გამარჯვებამ?

— ჯერ ერთი მსოფლიო ჩემპიონის სახელი პროფესიონალებში, რასაც ნებისმიერი სპორტსმენის კარიერაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს გამარჯვება ჩემს ფინანსურ მომავალზეც კარგად იმოქმედებს, რასაც ასევე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. პროფესიული სპორტსმენი ეკონომიკურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ვინაიდან სპორტი მისი შემოსავლის წყაროა.

◎ რა აზრისაა პროფესიონალი ჰიუბნერი მოყვარულ ჰუკზე?

— მას შემდეგ რაც სპორტიდან წავიდა ლუც ჰესლიჰი, მოყვარულებში ბილს არ ჰყავს ბადალი. მე მუდამ მწამდა მისი დადარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ნიჭიერი ველოსიპედისტი შეძლებდა თავისი ნერვების მოთოკვას. სხვა მას არაფერი სჭირდებოდა. იაპონიაში დავრწმუნდი, რომ მან ეს მოახერხა.

◎ როგორი პირადი დამოკიდებულება გაქვთ ჰუკთან?

— ჩვენი ურთიერთობა ყოველთვის მტკიცე და მეგობრული იყო. განსაკუთრებით გაღრმავდა იგი ახლა, როცა ერთმანეთის მეტოქეები აღარ ვართ. იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენ რჩევას ვაძლევდით ერთმანეთს, ვეხმარებოდით ყველაფერში.

◎ როგორია, თქვენი აზრით, ქალთა შეფარდება პროფესიონალებსა და მოყვარულებს შორის?

— გაიჩნია ველოსპორტის რომელ სახეობაზე მეკითხებით. საგზატკეცილო ველოსპორტსა და მრავალდღიან რბოლებში ისინი საგრძნობლად დაწინაურდნენ. სატრეკო დისციპლინებში კი ჩვენ, გდრ-ის სპორტსმენები, მუდამ ღირსეულ წინააღმდეგობას ვუწევდით პროფესიონალებს. ახლა მოყვარულთა რიგები, ჩემი აზრით, შესუსტდა. ჰესლიჰმა თავი დაანება სპორტს, მე პროფესიონალებში გადავედი. მთელი სიმძიმე ჰუკს დაეწვა, მაგრამ ამობრენ, ბარსელონის ოლიმპიადის შემდეგ ისიც პროფესიონალებში გადავა. თუ ეს მოხდა, სამოყვარულო ველოსპორტი დიდ ძალას დაკარგავს და ჯეროვან წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევს პროფესიონალებს.

◎ ვინ აკონტროლებს თქვენს ყოველდღიურ სავწვრთნელ პროცესს.

— არავინ. ეს ჩემი პირადი საქმე გახლავთ, ჩემს დამფინანსებლებს მხოლოდ შედეგები აინტერესებთ. ამის გარანტიას ისინი ჩემგან იღებენ. მორჩა და გათავდა!

◎ რას ნიშნავს თქვენი გუნდის სახელწოდება „ჰისტორ სიგმა“?

— იგი ბელგიური ფირმაა, რომელიც მაღალი ხარისხის საღებავებს ამზადებს. ფირმა დაინტერესებულია გერმანული ბაზრით და ამიტომაც ამიყვანეს გუნდში.

„სპორტპროგნოზი“

37-ე ტირაჟის შედეგები (14-16 სექტემბერი)

1—2, 2—1, 3—2, 4—1, 5—1. 6—1, 7—X, 8—X, 9—X, 10—1, 11—1, 12—X 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„სპორტლოტო“

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 37-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან 6 (ძიუდო), 11 (ფრენბურთი), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 17 (საციგურაო სპორტი), 24 (ხელბურთი), 31 (ფარიკაობა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 12 (ტანვარჯიში), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ჩოჩიშვილი. კორექტორები ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

redაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ნფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„ბერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 60485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორეუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20